შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა და გლობალიზაციის კულტურული პარადიგმები

რამაზ (ისაკო) მეფარიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველო

საკვანძო სიტყვები: დასავლური, აღმოსავლური, კულტურა, ცოდნა

შოთა რუსთაველის მხატვრული აზროვნება იძლევა იმის საშუალებას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ კულტურული პარადიგმები გლობალიზაციაში ვეძებოთ. პოეტი თავისუფალი პიროვნება იყო ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით. იგი ეტრფოდა თავის სამშობლოს, „ვეფხისტყაოსანს“.

ცოდნა სამყაროს მთლიანი გააზრებაა, რაც მრავლისმომცველობით საცნაურდება. მრავლისმომცველობა იმითაა საინტერესო, რომ მასში შეიძლება მოცემული იყოს ბევრი და არა ერთი აზრი. ბევრისთვის კლასიკა ხელის შემშლელია. ამის გარეშე კი წარმოუდგენელია განათლებასთან მიახლება. დღევანდელობის უპირველესთაგანი ვალია, განათლების შინაარსი აიგოს, როგორც ერთიანი ევროინტეგრირებული სისტემა, სადაც არ იქნება გამორჩენილი არცერთი არსებითი რამ.

წარსული — დღევანდელობა — მომავალი ჩვენშივე თანაარსებობენ. წარსულს არ ვირჩევთ, რაც გვერგო ისაა ჩვენი წარსული. მაგრამ წარსულიდან იმის ამორჩევა უნდა შეგვეძლოს, რაც ჩვენი კულტურის განუყოფელი ნაწილია. ასეთი ბევრი რამ შეიძლება იყოს ან არც იყოს. „ვეფხისტყაოსანი“ ქართველებს მარადთანმხლები კულტურაა, სადაც მშვენიერი და ამაღლებული სახეებითაა მოაზრებული მსოფლიოს კულტურული სივრცე და ის მთავარი ნიშანსვეტი, რაც სამყაროში არსებულ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებს აერთიანებს.

ადამიანთა მრავალგვარობა რუსთაველის დიდი საფიქრელია. დროთა განმავლობაში იცვლებოდა, იცვლება და შეიცვლება ადამიანი. ადამიანი მუდამ ძიებაშია. ამან გამოიწვია აზროვნების ესთეტიზაცია. ასეთ აზროვნებას მივყავართ მსოფლიო კულტურასთან. ამიტომაც რელიგიური, პოლიტიკური, ეთიკური, ფილოსოფიური იდეები საბოლოოდ ქმნიან კულტურულ მთლიანობას, კულტურულ თანაარსებობას. ამის ნათელი მაგალითია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. რევაზ სირაძე წერს: „რაც რელიგიურად და ფილოსოფიურად შეუწყნარებელი იყო, ესთეტიკურად მისაღები გახდა. რამდენი სიბრძნეა პოემაში, რაოდენ გაფართოებულია გონებრივი ინტერესები და გადალახულია რელიგიური შეზღუდულობანი. ადამიანი უპირველესად ზოგადადამიანური თვისებებით ფასდება და არა ეროვნებითა და სარწმუნოებით. აზროვნების ესთეტიზაციამ შეცვალა წარმოდგენა რელიგიაზე. იმასაც კი ვფიქრობთ, ხომ არ მიისწრაფვოდა რუსთაველი მსოფლიო რელიგიის იდეისკენ? მსოფლიო რელიგიის, რომელიც დადგებოდა ყველა ცალკეულ რელიგიაზე მაღლა“ (რ. სირაძე, სახისმეტყველება, 207, 1982). რომელი იქნებოდა ეს რელიგია? ქრისტიანობა, ბუდიზმი, ისლამი? ამ კითხვაზე პასუხს ყველა რელიგიის მიმდევარი იპოვის, მათი საკუთარი „მე“ „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის მიერ დაცულია.

„ვეფხისტყაოსანში“ კულტურული პარადიგმები მსოფლიოს მთლიანობასთან მიმართებაში არაერთგზის ვლინდება. აქ მოცემულია ანტიკური, დასავლური, აღმოსავლური კულტურათა შერწყმა. მაგრამ ეს არახელოვნურადაა გაკეთებული, არამედ ისეა ერთმანეთში აღრეული, გამთლიანებული, ძნელი მისახვედრია, სადაა მოცემული დასავლური, თუ აღმოსავლური რეალიები. მაგალითისათვის შევეხოთ ერთ მათგანს.

შოთა რუსთაველი წერს: „ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“ (პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, IV. 19, 2016). ამ სტრიქონებში მთავარი მხატვრული სახე ღმერთის „ერთადერთობაა“, ანუ „ღმერთი ერთია“. პოემაში 193-ჯერ არის სულ ღმერთი მოხსენიებული, მაგრამ არც ერთხელაა სამობით (მამა, ძე, სულიწმიდა) მოხმობილი. ეს იყო უმთავრესი ბრალდება, რამაც გამოიწვია „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის ესოდენ დევნა. სანამ ამ საკითხს დაუბრუნდებით, კარგი იქნება ცოტა რამ თავად პოეტზე ვთქვათ, რაც ერთგვარი გზამკვლევი იქნება ზემორე საკითხის განხილვისათვის.

პავლე ინგოროყვას აზრით, შოთა ჰერეთის რუსთავის მკვიდრი იყო. ამის მამტკიცებელ საბუთად მას მოჰყავს სამცხე-საათაბაგოს მფლობელ გვართა XII-XIII საუკუნეების ნუსხა, სადაც რუსთაველის გვარი არსად არ არის ნახსენები. სამაგიეროდ გვხვდება ჰერეთის წერილობით ძეგლებში. აქედან გამომდინარე პოეტი ჰერეთის რუსთავიდანაა. მესხეთში რუსთავი, როგორც დასახლებული პუნქტი არ არსებობდა. ამ პერიოდში მხოლოდ ჰერეთში არსებობდა რუსთავი.

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“ (პ. ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, IV, 307, 2016). იმას კი არ ნიშნავს, რომ პოეტი მესხეთის რუსთავიდანაა, არამედ იმას ვწერ რუსთაველის მსგავსად, რუსთველისებურად. გამოდის რომ ამ სტრიქონების ავტორი ინტერპოლატორია. სად ჩანს აქ რუსთაველის მესხობა?! ამიტომ XX საუკუნე პოეტის ვინაობას მცდარად წარმოსახავდა.

სულ ახლახან დასრულდა დავით გალეგაშვილის თაოსნობით და როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით პავლე ინგოროყვას ოთხტომეულის გამოცემა. ეს კი საშუალებას გვაძლევს კომუნისტების დროს აკრძალული შრომების სრულმაშტაბიან გაცნობისას, რაც თავდაყირა აყენებს მთელ

რიგ რუსთველოლოგიურ შრომებს. პატივდებული მეცნიერის გამოკვლევებით, რაც მეტად სარწმუნოა, შოთა ჰერეთის რუსთავიდანაა და ჰერეთის ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელია, რომელსაც ცოტნე დადიანთან ერთად მონაწილეობა მიუღია კოხტასთავის ცნობილ შეთქმულებაში. რატომ დაგვჭირდა ამ ბიოგრაფიული შტრიხების მოხმობა? „ერთარსებასთან" დაკავშირებით? ადამიანის მომავალ ხედვას მეტწილად მისი ვინაობა განსაზღვრავს. ვინაობა კი მის მსოფლმხედველობას. იქნებ, „ვეფხისტყაოსნის" დევნა სწორედ ამ გარემოებებმა განსაზღვრეს.

ქართული განათლების შემაერთებელი ორი გზა იყო:

დასავლეთი — პროკოფის მარტვილობა, „უფალთა წიგნი".

აღმოსავლეთი — ეპიკური წიგნი ფერიდენიდან — შაჰნამემდე, ქილილა და დამანა. ამ გზებმა მიიყვანა რუსთაველი რწმენამდე, რომ სიბრძნედ აყვანილი რწმენა კაცობრიობის მთლიანობის საფუძველია.

დავუბრუნდეთ „ერთს". „ვეფხისტყაოსანი" უწინარეს მხატვრული ნაწარმოებია და ამიტომაც მრავალი განსაზოვნებითი აზრია მასში. დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება რუსთაველთან შეუძლებელია და ამას არც ითვალისწინებს ხელოვნების ნიმუში, რადგან ლიტერატურა არ სვამს წერტილს, ყველგან მრავალწერტილია. ერთი რამის თქმა კი ცხადად შეიძლება, რომ რუსთაველამდე ოთხი საუკუნით ადრე მონოფიზიტობა დაძლეულია. რუსთაველის დროინდელი პოეტები ყველა უკლებლივ ხაზგასმით აღნიშნავს სამების ჰიპოსტაზს. ამასვე ველოდით რუსთაველისგანაც, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი ჩანს პოემაში. რით უნდა აიხსნას ეს? ვფიქრობთ, ანტიკური, დასავლური, აღმოსავლური აზროვნების შერწყმამ პოეტს ამის საშუალება არ მისცა. ის კონკრეტულად არ ეყრდნობა რომელიმე სამყაროს ცივილიზაციის მონაპოვარს, რადგან მრავალ ცივილიზაციათა კონტექსტში ხედავს სამყაროს მარადიულობას. ამიტომაცაა, რომ „ერთში" გააერთიანა ყოველი, რათა ნებისმიერმა ადამიანმა მასში იპოვოს თავისთავადობა და თვითმყოფადობა. ასეთი რამ გენიალურ ადამიანს შეუძლია. ესაა მსოფლიო კულტურის შექმნის ცდა, სადაც ყველა ერი ინარჩუნებს თავის ღირებულებებს და ამავდროულად მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილიცაა. ალბათ, ასთმა აზროვნებამ გარკვეული კვალი დაამჩნია ჩვენს ხასიათს. კერძოდ, ჰუმანურობასა და ელასტიურ ბუნებას. იქნებ, ესაა მიზეზი უცხო ეროვნების შვილთა ესოდენი მომრავლებისა. ქართულ აგიოგრაფიაში უცხო ტომის შვილია წმინდა შუშანიკი, წმინდა ევსტათი, წმინდა აბო... მხატვრული გამონაგონის ნაყოფია არაბი ავთანდილი, მეტად საინტერესოა რუსთაველთან არაბის გაიდიალება. ეს მაშინ, როცა არაბობა სპობდა და ანადგურებდა ქართულ სახელმწიფოებრიობას. ეს სხვა საკითხია. მთავარია, რამ გამოიწვია უცხო ტომთა ესოდენი მომრავლება?! აქ მთავარი რამ ქართველთა მენტალობაშია. ეს ჩანს „ვეფხისტყაოსანში".

ავთანდილი, ტარიელი, ფრიდონი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებია (მხატვრული გაგებით), მაგრამ სამივე ერთად ქმნის დიდ კულტურულ მთლიანობათა სისტემას. ეს სხვადასხვა კულტურა ერთიანი სამყარო შეგრძნებაა, რასაც თითოეული მათგანის ღირებულებები აერთიანებს. ადამიანმა ადამიანობა უნდა შეიგრძნოს არა დაპირისპირებებში, არამედ ჰარმონიაში. მთავარია სურვილი. სურვილი ცოტას არ ნიშნავს. ამას შოთა რუსთაველი ხაზგასმით აღნიშნავს. „ავთანდილს კლავდა სურვილი, სურვილი სიყვარულისა". ჯერ სურვილი ჩნდება და მერე ყველაფერი ამ სამყაროში.

„ვეფხისტყაოსანში" არაა შეზღუდული დრო-სივრცე, საზღვრები. ადამიანები თავისუფლად გადაადგილდებიან. მათი გეოგრაფიული რუკა მოიცავს: არაბეთს, ინდოეთს, ხატაეთს (ჩინეთი), ხვარაზმს და ა.შ. ეს მთელი კულტურული სივრცეა. არავის არ მოსდის აზრად ვინმესთან დაბრკოლება შექმნას. პირიქით, სიხარულით ეგებებიან ერთმანეთს. ეს მაშინ, როცა დღეს საკუთარ სამშობლოში სოხუმსა და ცხინვალში ვერ გადაადგილდებულხარ! არაფერს ვამბობ სხვა ქვეყნებზე. ეს მტკივნეული საკითხია. როგორც ჩანს, „კულტურულ მსოფლიოში" მთლად კულტურულები ვერ ვართ. რა არის ამის მიზეზი? სენტეციებს ჯობია რუსთაველს მოუსმინოთ: სევდის ვერ შეგრძნება, სულიერების ნაკლოვანება, ხასიათების შესუსტება, გულგრილობა, დაუმსახურებელი ქება, უნიჭოთა აღზევება, სისხლისღვრის გამართლება, უსამართლობა, საჭურჭლის არ გაცემა, მოყვრობა-მეგობრობის მოშლა...

მთელი ჩვენი ისტორია, დღევანდელობა დასავლურ-აღმოსავლური ღირებულებათა შეზავებაა. რუსთაველს არ ეშინოდა, არც აღმოსავლეთის და არც დასავლეთის. იცოდა, დასავლეთი სილამაზის პლასტიკურ გამოვლენაში ვლინდებოდა და აღმოსავლეთი – მისტიკაში, იცოდა „ყურანი" მხატვრობას კრძალავდა, ბიზანტიური საგალობლები რომ ერთხმიანი იყო. მაგრამ წარმართული საქართველოს დიდებად მიაჩნდა VII საუკუნიდან საგალობლებში მრავალხმიანობას დამკვიდრება. იცოდა ბიბლიაზე აღზრდილი ქართველები ფირდოუსის „შაჰნამეს", გურგენის „ვისრამიანსაც" თარგმნიდნენ და ეცნობოდნენ. ამგვარი შერწყმა ქართულ კულტურულ არეალს დიდად ამაღლებდა, მაგრამ ქრისტიანობის მიღებით, დამკვიდრებით დასავლურ კულტურულ ჯგუფისკენ გადაიხარა.

რუსთაველთან თავის თავში ყოფნა იცვლება პიროვნებით. ყველაფერი, რაშიც „მე ადამიანი" ვლინდება უნდა პიროვნებად ქცევას ესწრაფოდეს. ადამიანი ყველაა, მაგრამ ყველა არაა პიროვნება. ას, ათას კაცში შეიძლება ერთი იყოს ან არც იყოს პიროვნება. პოეტის იდეალი პიროვნებაა.

პიროვნებად ყოფნობას განათლება, ცოდნა სჭირდება. მხოლოდ ამით მიიღწევა სიახლე. პიროვნება სიახლის მატარებელია. ამიტომაც ყოველთვის მტრობდნენ და დღესაც მტრობენ მას. ასეთ დროს ხსნა მსოფლიო კულტურათა პარადიგმებშია, სადაც ყველა ეროვნების წარმომადგენელს თავისი ფერი შეაქვს სამყაროში. ეს ერთობლიობა ქმნის კულტუროლოგიის საფუძველს: წარმოუდგენელია ჰომეროსის, სერვანტესის, შექსპირის, რუსთაველის, დოსტოევსკის, მოცარტის, ბახის, ბეთჰოვენის გარეშე კაცობრიობა. რამდენი სიახლე მისცეს მათ ქვეყნიერებას. გაუჩნდება კი ვინმეს აზრი, რომ შექსპირი მხოლოდ ინგლისის კუთვნილებაა? არა!. მაგრამ ინგლისელს რომ უთხრა: შექსპირი ეროვნებით არ არის ინგლისელი?! დიდ დავიდარაბაში ჩავარდები. დიახ,

შექსპირი ინგლისელია და ინგლისელი არასოდეს დათმობს მას, მაგრამ ამავდროულად შექსპირი კაცობრიობის, მსოფლიოს კუთვნილებაა.

ხელოვნება ამაღლებული და მშვენიერი სულის მსახურებაა. სული ღვთაებრივია ადამიანში. მისი მსახურება კი ღმერთთან ახლოს დგომაა. შოთა რუსთაველი ახლოს მივიდა უფალთან, რადგან მისი „ერთი“ მოცემულია მსოფლიო კულტურათა გადასახედიდან.

ცხოვრება გულთან ბრძოლაა, ასეთივეა „ვეფხისტყაოსანი“. ტარიელის ვეფხთან შერკინება საკუთარ გულთან ბრძოლაა. ვეფხის მოკვლით ტარიელი თავის გულს ამარცხებს. მაგრამ თავად მარცხდება საკუთარ გულთან პირისპირ დგომაში. ნანა გონჯილაშვილის დაკვირვებით: „მისი გოლიათი გული, ლბილ გულად იქცევა, მხოლოდ „სევდის მუფარეხი“ ავთანდილი ტარიელის „უგულო გულს“ ამქვეყნიურობისკენ მოაქცევს“ (ნ. გონჯილაშვილი „სიტყვა ხატადქმნილი“, 191, 2016).

საკუთარ გულთან დარჩენილი ტარიელი ვერაფერს გახდებოდა, მის გვერდით ავთანდილი რომ არ აღმოჩენილიყო. ორმა გულმა, რომელებსაც შემდგომ სხვათა გულებიც მიემატა, სევდა, დაკარგული გული გაამთლიანა. ამ ეპიზოდით (ტარიელის მიერ ლომ-ვეფხვთა დახოცვის ამბავი), რომელიც საკმაოდ მაღალმხატვრული სახეა, ხომ არ გვეუბნება რუსთაველი, რომ მრავალ კულტურათა ერთობლიობაში წინააღმდეგობა დაიძლევა? შეიძლება ვინმემ თქვას, აქ ხომ ორ მეგობარზეა საუბარი. მაგრამ ნუ გვავიწყდება ეს, ორი მეგობარი სხვადასხვა ქვეყნების, კულტურის შვილებია. მეგობრობას არ აქვს საზღვრები. დიახ, არ აქვს. ჩვენც ამას ვამბობთ. არ არსებობს სულს, სიყვარულს, მშვენიერებას, ცოდნას, კულტურას, სიბრძნეს, სიკეთეს საზღვრები ჰქონდეს. ეს ღირსებები ყველას კუთვნილებაა. მსოფლიოს კუთვნილებაა. სხვანაირად კაცობრიობას გაუჭირდება... გაუჭირდება საქართველოს... გაუჭირდება მსოფლიოს...

ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ საფუძველს კულტურა ქმნის. ეს ნიშნავს კულტურული ცხოვრების მრავალწახნაგობას. ქართველ მეფეთა ტიტულატურაში: მეფე აფხაზთა, კახთა, რანთა, სომეხთა, შირვანთა... საქართველო მხოლოდ საქართველოდ არ იწოდებოდა. ის ყველას სამშობლო იყო. გასაგებია, რომ ეს იდეოლოგიური მოსაზრებით კეთდებოდა. მაგრამ არ დაგვავიწყდეს იდეოლოგიურ ერთობას ტიტულატურაში დასახელებულ ქვეყანათა კულტურა ქმნიდა. ასეთი იდეოლოგია იყო შოთა რუსთაველის აზროვნების საფუძველი, რომ კულტურულ პარადიგმებშია მსოფლიო კულტუროლოგიის საფუძველთა-საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გონჯილაშვილი ნ. (2016), სიტყვა ხატადქმნილი, თბილისი.
2. ინგოროყვა პ. (2-016), რუსთველოლოგიური თხზულებანი, ტ. IV, თბილისი.
3. რ. სირაძე, (1987), ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, თბილისი.
4. რ. სირაძე, სახისმეტყველება (1982), თბილისი.

SHOTA RUSTAVELI'S IDEOLOGY AND CULTURAL PARADIGMS OF GLOBALIZATION

RAMAZ (ISAC) MEPARISHVILI
Doctor of Philology, Professor Of European University, Georgia

KEYWORDS: WESTERN, EASTERN, PERSONALITY, CULTURE, KNOWLEDGE

SUMMARY

According to the poem by Shota Rustaveli the human is the basic idea, a human has changed, changes and will change for different period of time. A human is always in search of something, this has caused aesthetics of thinking, this thinking leads us to world culture. That is why religious, political, ethical, philosophical ideas ultimately form the cultural integrity. Such a clear example is Shota Rustaveli's poem "The Knight in the Panther's Skin".

The core of the "Knight in the Panther's Skin" is a culture in which the diversity of cultural life is revealed. The concept of the poet's thinking comes from the cultural paradigm that underlies the world culture.